



სათნოებისა
და სიკეთის
ნათელი

სათნოებისა და სიკეთის ნათელი



თბილისი 2022

რედაქტორი: ლაშა ნადარეიშვილი
მაყვალა ბერიანიძე

გერეკანზე: რუსიკო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ,
ორდინატორია მოსკოვის ქირურგიის ცენტრში

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

გამომცემლობა „ნეკერი“

ISBN 978-9941-501-15-9



დიდება ღმერთსა,
სრულმყოფელსა ყოვლისა
კეთილისა და ნათელის...

წინათქმა

ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას მუდამ ახლავს ღრმა გულისტკივილი, სევდა, ნალველი და სინანული.

ნალველი და სინანული განსაკუთრებით მწვავე და გულსაკლავია, როდესაც სამუდამოდ გვშორდება სულიერი სინათლითა და ხიბლით გასხივოსნებული, ნამდვილი ინტელიგენტობით, ნიჭიერებით და თავმდაბლობით გამორჩეული, თბილი და გულღია ადამიანი..

მისებრ სიკეთის ქმნა და მოფენა – მხოლოდ ნატიფ სულს შეეძლო!..

რუსიკოს ამ ქვეყნიდან წასვლამ მწარე რეალობა ხსოვნად აქცია...

მისი ნაღვანი ნათლით შეიმოსა, ამ ნათელის ბრწყინვალეებაა სიკვდილის ძლევა, რაც ჭეშმარიტი პიროვნების ხვედრია!

სწორედ ამგვარი ნათელი დაგვრჩა რუსიკოს ხსოვნის ნიშნად.

სახელოვანი მასწავლებლების თანაბნობა

ადამიანური, სამოქალაქო და საზოგადოებრივი მეხსიერება გაქრობის საშუალებას არ აძლევს გასული საუკუნის ადამიანთა კეთილ საქმეებსა და დიდებულ სახელებს.

გვახსოვს, 80-იანი წლების ბოლოს მეცნიერულმა ძიებამ, სწრაფვამ აზროვნების ახლებური ფორმებისადმი, მედიცინაში თანამედროვე და რთული ტექნოლოგიების, ახალი და პრინციპული აღმოჩენების შეცნობისადმი თუ როგორ მოიყვანა ქართველი ასპირანტი რუსუდან რიგვავა სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის, მაშინ საკავშირო სამეცნიერო ცენტრში.

ზედმინევენით განათლებული, მომხიბლავი, ინტელიგენტი, არაორდინალურად მოაზროვნე რუსუდანი ყველა თანატოლისაგან გამოირჩეოდა მუშაობისადმი გულმოდგინე დამოკიდებულებით, მეცნიერების სიყვარულით, მრავალმხრივობითა და მიზანსწრაფულობით, სისუფთავითა და გულგახსნილობით, არაჩვეულებრივი მოკრძალებულობითა და ღირსებით, თვალსაჩინო კეთილგანწყობითა და სიქველით.

ის დაულალავად შრომობდა, ცდილობდა ღრმად ჩანვდომოდა მეცნიერების საიდუმლოებებს, გაეფართოვებინა თავისი ცოდნა, ზიარებოდა უფროსი კოლეგების გამოცდილებას, თავისი მასწავლებლების – თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერ-მედიკოსების შემოქმედებას.

მძიმეა იმის აღქმა, რომ ეს ახალგაზრდა, ჭკვიანი და

ლამაზი ქალი, ნიჭიერი სპეციალისტი და მაღლიანი მეგობარი წავიდა ამ ქვეყნიდან.

წავიდა მოულოდნელად ყველასათვის. სათაყვანებელი **შვილი, დედა, მეუღლე, ადამიანი და პიროვნება.**

ის ყოველთვის ჩვენთანაა, ყოველთვის ჩვენს გვერდითაა.

ბ. ვ. პეტროვსკი

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრი, აკადემიკოსი
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ვ. ს. გიგაური

აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გ. ფ. შერემეტიევა

პროფესორი,
პათოლოგიური ანატომიის განყოფილების გამგე

ვ. ი. სოკოლოვი

პროფესორი

ი. ლ. ჟიდკოვი

ექსპერიმენტული განყოფილების გამგე

ს. ვ. გოტიე

პროფესორი, ლვიძლის ტრანსპლანტაციის
განყოფილების გამგე

რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის კოლექტივი.

2004 წლის თებერვალი, მოსკოვი.



ზაალ კახიანი

მზის ასულად დარჩა მარად

წარსულს ჩაბარდა წინააღმდეგობრივი, დიადი და სასტიკი XX საუკუნე.

ჩვენს თვალწინ შეიცვალა ეპოქები, შეიცვალა დრო, რომელშიც ღირსეულად და ლამაზად იცხოვრა და ეს ქვეყნიერება დატოვა ახალგაზრდა და ბრწყინვალე რუსუდან სერგოს ასულმა რიგგავამ – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ჩინებულმა სტომატოლოგმა, ნიჭიერმა მეცნიერმა და პედაგოგმა.

და დღეს, სხვა ეპოქაში, სხვა ქვეყანაში რუსუდან სერგოს ასულს არ აკლდება ჩვენი მადლიერი ხსოვნა და სიყვარული, ჩვენი აღიარება და პატივისცემა.

თავისი ელვასავით მოკლე და კაშკაშა ცხოვრების მანძილზე მან მოასწრო და შედგა როგორც პიროვნება. როგორც აღიარებული პროფესიონალი, დაკვირვებუ-

ლი მკვლევარი, კეთილი და გამრჯე ადამიანი, რომელსაც არასდროს გადაუხვევია ღირსებისა და მოვალეობის პრინციპებისათვის; მოსიყვარულე შვილი, საოცარი დედა და წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერის, პროფესორ-გინეკოლოგის ალექსანდრე ზურაბის ძე ჭილაძის ერთგული მეუღლე, ნათელი ოჯახური კერის მზრუნველი მამაგე.

მშვენიერ რუსიკოს ვიცნობდი ბავშვობიდან. ვმეგობრობდი მის მშობლებთან, ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე მათ სტუმართმოყვარე, სიყვარულითა და გულითადობით აღსავსე ოჯახს. ვხედავდი, თუ როგორ იზრდებოდა ის, როგორ იცვლებოდა, ლამაზდებოდა, ჭკვიანდებოდა... როგორ ბეჯითად სწავლობდა სკოლასა და ინსტიტუტში, ბევრს კითხულობდა, მონდომებით სწავლობდა ინგლისურს; გატაცებული იყო მუსიკით, თეატრით, კინოთი, მხატვრობით, ცხენოსნობით; როგორ შეაბიჯა ზრდასრულ ცხოვრებაში...

ხელი მიუწვდებოდა რა ყველაფერ იმ მშვენიერზე, რაც შეადგენდა საქართველოს ეროვნულ სიამაყეს, ის ხარბად ენაფებოდა ქართული და მსოფლიო კულტურის განძეულს.

მასთან ურთიერთობა ყოველთვის იყო საინტერესო და სასიამოვნო.

იყო არაბავშვურად ჭკვიანი და განათლებული, მიზანმიმართული და ქრისტიანულად პასუხისმგებლიანი, იუმორითა და ხალისით აღსავსე.

ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი მის არაჩვეულებრივ სისუფთავესა და უშუალობას, მის თავდადების ნიჭს, სიკეთისადმი მისწრაფებულ მის ნათელ სულს, მის ჩართულობას საყვარელ საქმეში და ადამიანთა დახმარებაში.

და ნამდვილად არ გამკვირვებია, როცა პროფესიის საკუთარი არჩევანი მან გააჩერა მედიცინის ყველაზე უძველეს და ხელოვნებასთან მიახლოებულ დარგზე – სტომატოლოგიაზე, რომელშიც, როგორც ცნობილია, კბილის მკურნალობის უფლებამოსილებულმა ქალებმა უკვე XIX საუკუნის დასაწყისში შეძლეს წარმატებისა და აღიარების მოპოვება.

სხვათაშორის, უძველესი დროიდან სწორედ ქალი – ალექსანდრიელი დიდმონამე წმინდა აპოლონია არის სტომატოლოგიის მფარველი.

და ჭემმარიტი ცხოვრებისეული ფასეულობების აპოლოგეტმა რუსიკომ მიმართა მედიცინას, გადანყვიტა გაეხადა ადამიანები ლამაზები და ჯანმრთელები, მთლიანად მიეძღვნა თავი სტომატოლოგიაში მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი.

უკვე სპეციალისტად და კოლეგად ჩამოყალიბებული, ნ. ა. სემაშკოს სახელობის მოსკოვის სტომატოლოგიური სამედიცინო ინსტიტუტის ნორჩი კურსდამთავრებული 1985 წელს ჩამოვიდა ჩვენთან თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ორდინატურაში (გამგე – საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლ. ნ. ჭელიძე) სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელსაც უძღვებოდა გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ს. ნ. ხეჩინაშვილი.



პროფ. ლ. ჭელიძე

იმ დროისათვის ეს იყო მძლავრი სამედიცინო კვლევითი, კლინიკური და საგანმანათლებლო ცენტრი, რომე-

ლიც პოპულარული და აღიარებული იყო ქვეყანაში და საზღვარგარეთ; სახელი ჰქონდა გათქმული ინსტიტუტის კათედრებისა და კლინიკების სათავეში მდგომ სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის მნათობთა ავტორიტეტებს.

და შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი, მაშინ უზარმაზარი ქვეყნის ექიმები მოისწრაფვოდნენ აქ, თბილისში კვალიფიკაციის ასამაღლებლად; ეზიარებოდნენ ცოდნას, ექიმის მისიისა და პროფესიული ვალის ღირებულებებს; იძინდნენ გამოცდილებას, რომელსაც თაობიდან თაობაში რუდუნებით გადასცემდნენ მედიცინის ქართველი მოამაგეები.

რუსიკოს ღრმა ცოდნა, ერუდიცია და პროფესიონალიზმი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენს კოლექტივში. სულ ერთ წელიწადში 23 წლის ასისტენტი რუსუდან რიგვავა ერთხმად არჩეული იქნა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში. ეს, ალბათ, იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა ინსტიტუტის არსებობის მთელ ისტორიაში.

ვაკვირდებოდი რა, ვხედავდი, თუ როგორ თავდავინწყებით მუშაობდა იგი საბჭოში და კათედრაზე, როგორ აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამედიცინო ფორუმებში – რესპუბლიკურ, საკავშირო, საერთაშორისო სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებში, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, თუ რა მშვენიერია ნიჭისა და ახალგაზრდობის შეხამება მათთვის დამახასიათებელი აზროვნების ახლებურობასთან, მოქმედების გაბედულობასთან, ნოვატორულ სულისკვეთებასთან, განზრახვების სისუფთავესთან, ენერგიასთან, შრომისმოყვარეობასთან და რთულ საქმეებთან გამკლავების უნართან.

უკვე ვიყავი ჩვენი ინსტიტუტის რექტორი, როდესაც 1990 წელს რუსიკომ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რაც საფუძვლად დაედო მონოგრაფიას, რომელშიც მისი კვლევა – ექსპერიმენტული და კლინიკური, უმაღლეს სამეცნიერო დონეზე შესრულებული, წარმოადგენს უახლესს და პრიორიტეტულს სტომატოლოგიურ პრაქტიკაში; დამაჯერებლად ამტკიცებს ფიზიკური ნებოს ფართო გამოყენების უნივერსალურობასა და ეფექტიანობას ქირურგიული ჩარევების დროს.

ასე გახდა ის 26 წლის ასაკში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 16 წლისამ საშუალო სკოლა დაამთავრა, 21 წლისამ – ინსტიტუტი, მისი ცხოვრების თითოეული წამი თითქოსდა აზრით იყო აღსავსე.

მეუღლეც ღირსეული პიროვნება ჰყავდა. ბრწყინვალე მეცნიერი. მოსკოვში, ნ. პიროგოვის სახელობის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. თბილისში ხელმძღვანელობდა აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირში ერთადერთ სეფსისის ცენტრს; 33 წლისა უკვე პროფესორი და ჯანდაცვის გამოცდილი ორგანიზატორი იყო.

რუსუდანი მუდამ შრომასა და ახლის ძიებაში იყო, ცხოვრობდა საინტერესოდ, უხაროდა სიცოცხლე და გვახარებდა ჩვენც, გვხიბლავდა თავისი დახვეწილობით, არისტოკრატიზმით, ურთიერთობაში უბრალოებით...

ის უყვარდათ, მისით ამაყოფნენ.

მსმენელები აღტაცებულნი იყვნენ მისი ცოდნითა და ინფორმირებულობით; ავადმყოფები – ყურადღებითა და ოსტატობით; გარშემომყოფნი – მისი გულუხვობითა და კეთილშობილებით.

მხატვრები ხატავდნენ მის პორტრეტებს, პოეტები უძღვნიდნენ ლექსებს.

მთვარი კი ისაა, რომ ის თავად აღსავსე იყო ადამიანებისადმი უკიდევანო სიყვარულით, კეთილი ზრახვებითა და კეთილი ქმედებებით; აღმერთებდა თავის მასწავლებლებს, ძალიან უყვარდა სკოლისა და ინსტიტუტის მეგობრები, მათი შვილები, თავისი ნათესავები და ახლობლები.

მთელი მისი მეტად გაჯერებული ცხოვრება, მისი ნებისმიერი საქციელი, სწრაფვა და აღტკინება იყო არაჩვეულებრივად წრფელი და მაღალზნეობრივი.

1994 წლის იანვარში, ყველასათვის აუხსნელად და მოულოდნელად, სიცოცხლის ოცდამეათე წელს რუსუდან რიგვავამ დაგვტოვა...

ის ზედმეტად სრულყოფილი იყო ამ არასრულყოფილ სამყაროში...

ზაალ კახიანი

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

2000 წლის 16 ივნისი,
ქ. თბილისი
„საქართველოს რესპუბლიკა“



წმინდა აპოლონია,
სტომატოლოგიის
მფარველი ღმერთი

მარადიული ხსოვნა

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან სერგოს ასული რიგვავა 1964 წლის 16 ივნისს თბილისში დაიბადა. 1980 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს – მოსკოვის ნ. ა. სემაშკოს სახელობის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტი. შემდეგ იყო სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორდენატორი და იქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი. ამავდროულად ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე განაგრძო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მოგვიანებით კი – ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე. ავტორი იყო არაერთი სამეცნიერო

ნაშრომისა.

გარდაიცვალა 1994 წლის 27 იანვარს. 2014 წლის 27 იანვარს, 20 წელიწადი სრულდება როგორც გარეგნობით, ისე ნიჭიერებით, ოჯახიშვილობით, განსწავლულობითა და ადამიანურობით გამორჩეული ამ სიცოცხლის ტრფიალი ახალგაზრდის გარდაცვალებიდან. იგი ქემმარიტად იმ მზის ასულთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა ნათელ ხსოვნასთან დავინწყებას არ უწერია.

ისინი, როგორც მზის ასულნი, ყოველ მზის ამოსვლასთან ერთად ამოდიან მარადიული ხსოვნის ასევე მარადიულ უღრუბლო ცაზე...

იგი მარადიულად იმ ასაკისა იქნება, რა ხნისაც გადააბიჯა გრძელ გაღმა სოფელში...

ზაალ კახიანი – პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – №16-17.

შაბათი. 25 იანვარი. 2014 წ.





სოსო სტურუა

სიკეთისა და სათნოების კალა

*„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც გვინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება...“*

გიორგი ლეონიძე

რუსიკო რიგვავაზე წერა ძალიან ძნელი და მტკივნეულია. ძნელია იმიტომ, რომ ის იყო (სამწუხაროდ, იყო) ძალიან ნათელი და არაორდინალური პიროვნება, ხოლო მტკივნეულია იმიტომ, რომ უკვე ათი წელია, რაც ის ჩვენთან აღარ არის, აღარ გვახარებს თავისი სილამაზითა და სათნოებით. ამ ქვეყნიდან რუსიკოს წასვლით მიყენებული ჭრილობა ჯერ კიდევ არ მორჩენილა, არ შეხორცებულა...

რუსიკოს ცხოვრება მიმდინარეობდა მშობლიური სახლის მეგობრებსა და ახლობლებს – იმ ხანის ცნობილ, საინტერესო და ნიჭიერ ადამიანებს შორის: საქვეყნოდ

ცნობილ ქართველ მეცნიერებში, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებში, დიპლომატებში, ჟურნალისტებში, მრავალრიცხოვან უცხოელ სტუმრებში – ანუ იმათ შორის, ვინც შემოქმედებდა და აღაშენებდა ცხოვრებას ქართული ეროვნული სულიერების აღმავლობის იმ ხანებში.

და პატარა გოგონას, ისევე როგორც მის უფროს ძმას, არ შეიძლებოდა არ დასტყობოდა მათ ოჯახში გამეფებული კეთილი ადამიანური ურთიერთობის განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ყოველთვის ანიჭებდა სიხარულსა და შთაგონებას.

სახელდობრ, ამან დიდწილად განსაზღვრა მათ მიერ ცხოვრებისა და გარე სამყაროს აღქმა, მათ ინტერესთა წრე, ცოდნის წყურვილი, არაჩვეულებრივად კეთილი ზნე და აზროვნების განსაკუთრებული ხასიათი.

რუსიკოს უფროსი ძმა – გიორგი (გია) – პროფესიონალი დიპლომატი, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას, შეეძლო დიპლომატის ბრწყინვალე კარიერის გაკეთება, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მონოდება აღმოჩნდა ხელოვნება. მოგვიანებით, ვ. ნ. სურიკოვის სახელობის მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გახდა მხატვარი, დღეს უკვე ცნობილი, ამჟამად გია წარმატებით მუშაობს საზღვარგარეთ.

რუსიკოს ძალიან უყვარდა თავისი ძმა, რომელიც ბევრ რამეში მისთვის მაგალითი იყო.

არასდროს დამავინწყდება მისი პატარა დაძაბული სახე, როდესაც ძმას გულშემატკივრობდა ჭადრაკის „ჩემპიონატის“ დროს, რომელიც წყნეთის სააგარაკო დასახლების მთელი ბაღლობისათვის მოაწყო ძია სერგომ. ეს



წყნეთში, 6 წლის რუსიკო; ჭადრაკის მატჩის დროს,
ძმას გიას გულშემატკივრობს.

უბრალოდ უნდა გენახათ. როდესაც გია მიუჯდებოდა მაგიდას და თამაშს იწყებდა, ის მაშინვე გვერდით ამოუდგებოდა და, თუმცა ჯერ დიდად ვერ ერკვეოდა თამაშში, რალაცეებს კარნახობდა. უბიძგებდა მოქმედებისაკენ და ძალიან ნერვიულობდა, როდესაც გია ჩვეულებრივზე დიდხანს ჩაუფიქრდებოდა მორიგ სვლას. ვთამაშობდით, რომ იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლოდ. რუსიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „ჩემპიონატის“ მთავარი პრიზი – შესანიშნავი ავტოკალამი – ერგო გიას. თუმცა სერგო ტარასის ძემ მეტად ტაქტიანად დაურიგა ტურნირის ყველას მონაწილეს პატარ-პატარა სუვენირები. დასასრულს კი ყველას გაგვიმასპინძლდა ჩაითა და ნამცხვრით. ასე რომ საოცრად კმაყოფილები დავიშალეთ.

ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ყველა პატარა ბავშვი კარგია. რა საკამათოც არ უნდა იყოს ეს საკითხი, რუსიკო იყო კარგთა შორის კარგი. მასზე შვიდი წლით უფროსი ვარ და ძალიან კარგად მახსოვს მისი ბავშვობა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა ბავშვებს შორის.

მამაჩემს – დევი სტურუას ძალიან უყვარდა რუსიკო. ღვიძლი შვილივით ჰყავდა. ყველაფერი კი დაიწყო იმ დღეს, როგორც არაერთხელ მოუყოლია მამაჩემს, როდესაც მან ჩაუხვია აგარაკის კუთხესთან (სიტყვა „აგარაკი“ აქ ძალიან ხმამამღლაა ნათქვამი) და დაინახა პატარა რუსიკო, რომელსაც მაშინ ფეხი ახლად ადგმული ჰქონდა. ბავშვი მისკენ მოდიოდა. მამამ მიიღბინა მასთან და ხელში აიტაცა. რუსიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია. პირიქით, კისერზე შემოჰხვია პანია ხელები და ცხვირი ჩარგო მის მხარში. მამა გაირინდა იმის შიშით, რომ არ დაეფრთხო, და ასე იდგა რამდენიმე წამს, ყურს უგდებდა და გრძნობდა მისი პატარა გულის ძგერას, რომელმაც ის მოხიბლა და გაათბო მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში.

ყველას ძალიან გვიყვარდა ზაფხული, რადგანაც საშუალება გვქონდა, თითქმის ყოველდღე შევხვედროდით, ვწვეოდით ერთმანეთს, მამასთვის კი – ენახა რუსიკო. ის მას დიდ ყურადღებას უთმობდა, ანებივრებდა რაც შეეძლო: სჩუქნიდა და თავადვე ხმამამღლა უკითხავდა საბავშვო წიგნებს, მივლინებიდან კი აუცილებლად ჩამოჰქონდა მისთვის ორიგინალური სათამაშოები. დიდი დაკავებულობის მიუხედავად, მაინც გამონახავდა ხოლმე დროს, რომ რუსიკო მოენახულებინა ან დაერეკა მაინც, მოეკითხა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, გაეგო და გაეხარა მისი მორიგი წარმატებებით. ისიც ხშირად გვსტუმრობდა ოჯახში, რაც ყველას ძალიან გვიხაროდა.

და ასე გრძელდებოდა თითქმის მთელ ოცდაათ წელს. როდესაც რუსიკო გაიზარდა და გახდა კალმით ნახატი, უჭკვიანესი ქალი, გამოავლინა მტკიცე ხასიათი, მამას არაერთხელ უთქვამს, მისთვის, რომ მოთხრობის „ზმანება ბასიანთან“ დაწერისას თამარ მეფის სახეს მისგან „გადმოხატავს“. ის გარეგნულად ცოტათი შეცბებოდა ხოლმე, მაგრამ ამით მეტად ამაყობდა და მამას თავისი სიტყვა არ გაუტეხავს.

ოჯახიდან რუსიკოს გამოჰყვა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა, ვალისა და ღირსების ერთგულება.

ის იზრდებოდა თავისი თაობის ყველა ბავშვივით: სწავლობდა სკოლაში, მეცადინეობდა მუსიკაში, უცხო ენებში, ხატვაში, სპორტში... ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, ნათელი, კეთილი ბუნების, ის ძალიან უყვარდათ მასწავლებლებსა და თანატოლებს. და არავითარი პრივილეგია! ის მას არ საჭიროებდა და ამით არასდროს უსარგებლია.

სკოლის არდადეგების დროს ის მთელ კლასთან ერთად გადიოდა საწარმოო პრაქტიკას ანასეულის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებზე; კრეფდა ჩაის და ძალიან ამაყობდა, რომ მისი მოკრძალებული შრომა და სიბეჯითე ყოველთვის აღინიშნებოდა კოლექტივის სამახსოვრო საჩუქრებით – წარწერიანი წიგნებით.

პირველი კურსის სტუდენტად ყოფნისას 17 წლის რუსიკომ, ინსტიტუტში ყველას გასაკვირად, პირველი შრომითი სემესტრის სანიტრად გასავლელად შეარჩია ყველაზე მძიმე ობიექტი – მოსკოვის მოხუცებულთა სახლი.

სპეცტანსაცმელსა და ერთჯერად დამცავ ხელთათმანებში გამოწყობილი, ის ყოველ დილით მონდომებით ალაგებდა პალატებს, ხეხავდა უგრძეს დერეფნებსა და კაბინეტებს. შემდეგ კი გადაიცვამდა ქათქათა ხალათს, დაძლევა დაღ-

ლას და თვალისმომჭრელი ღიმილით და მოფერებით უვლიდა საყვარელ მოხუცებს, ათბობდა მათ ზრუნვითა და სითბოთი; ამარაგებდა მათ ყოფითი წვრილმანებით, უმასპინძლდებოდა მოსაკითხით, რითაც აღტაცებასა და მადლიერებას იწვევდა ამ პირქუში სავანის დაუძლურებულ მდგმურებში.

ასეთივე პასუხისმგებლობით მომდევნო წლებში არდადეგების დროს ის მუშაობდა მედდად და ექიმად მოსკოვის კლინიკებში, შრომობდა კარტოფილის მოსავლის აღებაზე, დაბამბულ ქურთუქსა და ჩექმებში გამონყობილი.

ეს იყო დრო, როდესაც მოსკოვის შემოგარენში კარტოფილის აღებისა და დახარისხების სამუშაოებში აუცილებელი წესით ჩართულები იყვნენ დედაქალაქის მცხოვრებნი და ყველა ჩვენთაგანი – მოსკოველი სტუდენტები.

არადა, არც რუსიკოსათვის და არც ერთი ჩვენთაგანისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა თავის მოავადმყოფება, ყალბი ცნობის მოძიება და კურორტზე გამგზავრება.

მაგრამ ამის გაკეთება აზრადაც არ მოგვდიოდა.

ვიყავით ახალგაზრდები, სუფთები და ალალები, ენერგიითა და ნათელი ოცნებებით აღვსილნი; ვიყავით რომანტიკოსები, რომლებისთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავდა მიდრეკილება ცხოვრებისეულ ღირებულებათა მაღალი შკალისადმი.

გრძნობდა რა ცოდნის დაუოკებელ წყურვილს, რუსიკო ჯერ კიდევ სკოლის წლებში ბევრს კითხულობდა, კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ და მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას. ყოველთვის იყო საინტერესო თანამოსაუბრე. გიას ბინაში ერთ-ერთი წვეულების დროს თვალს ვადევნებდი საინტერესო სცენას, თუ როგორ ძლივს ახერხებდა მისი ერთ-ერთი დიპლომატი მეგობარი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე საუბრის გაძლოლას მაშინ ჯერ კიდევ სულ ნორჩ რუსიკოსთან.

ლამაზი, საოცრად მოკრძალებული, უშუალო, თბილი და გულიანი, დახვეწილი, მგრძნობიარე ნატურა – აი მისი ნიჭიერი პიროვნების არც თუ სრული დახასიათება. ყველა ამ თვისებამ მას მოუხვეჭა გარშემომყოფთა სიყვარული და მადლიერება მოსკოვში სწავლის წლებშიც, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის ექსპერიმენტული ქირურგიის განყოფილებაში დისერტაციაზე მუშაობის წლებშიც, აგრეთვე მოსკოვის იმ დროის ქართველი სტუდენტური თემის გარემოში.

ჭეშმარიტად ქართულ სილამაზესთან და მომხიბვლელობასთან ერთად ბუნებამ მოამადლა გულშემამტკივრობის, თანაგანცდის, თანაგრძნობის უიშვიათესი თვისება, ადამიანური სიკეთისადმი რწმენის ნათელი ნიჭი.

მასხენდება ერთი ეპიზოდი. მას ძალიან უყვარდა მუსიკა, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე. გიას ჰქონდა იმ დროისათვის ფირფიტების კარგი კოლექცია. მაგრამ ჯერ სრულიად ახალგაზრდა რუსიკოს განსაკუთრებით მოსწონდა საქვეყნოდ ცნობილი ჯგუფ „ბიტლზის“ მუსიკა. კერძოდ კი მისი დამაარსებლისა და ლიდერის ჯონ ლენონის სიმღერები. რომ გაიგო მისი ტრაგიკული დაღუპვის შესახებ, რუსიკომ იტირა. დასტიროდა იმ ადამიანის სიკვდილს, რომელიც მღეროდა სიყვარულსა და სიკეთეზე, მეგობრობასა და ურთიერთგაგებაზე, არაძალადობასა და მშვიდობაზე მთელ მსოფლიოში.

გარეგნულად სუსტი, მაგრამ შინაგანად ძლიერი, ის ვერ იტანდა სიცრუესა და პირფერობას, იცოდა იმ ადამიანთა დაფასება, რომლებსაც გააჩნიათ პატიოსნება, სინდისი, ღირსება, გარშემომყოფებს გადასდებდა თავის სიკეთისა და სათნოების ენერგიას, ჩაუსახავდა იმედს.

სხვისი ტკივილისადმი ღრმად მგრძნობიარე, ყოველთვის გახსნილი გულითა და გაგებით ის მკურნალ-

ობდა ავადმყოფებს, ცოდნას უზიარებდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელებს – ჭაღარით შემოსილ გამოცდილ მკურნალებს.

შესანიშნავმა, მოსიყვარულე დედამ, არაჩვეულებრივმა შვილმა (ამისთანაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა), ერთგულმა ცოლმა, ჩინებულმა დიასახლისმა, ლამაზი საოჯახო კერის მზრუნველმა შემნახველმა, მან მეუღლესთან, მოსკოვის გინეკოლოგიური სკოლის აღზრდილთან, პროფესორ ალექსანდრე ზურაბის ძე ჭილაძესთან, ღირსეულ ადამიანთან ერთად სრულიად გაიზიარა მათი თაობის ადამიანთა წილად მოსული ნათელი სიხარული, შემდეგ კი გაღატაკებული საქართველოს მძიმე ხვედრი და ჩვენი სასტიკი, მკაცრი და არეული დროის საბედისწერო რეალიები, რამაც ულმობლად დაანგრია მილიონობით ადამიანის ბედი, მათ შორის მისი ბედიც.

1994 წლის იანვარში რუსუდან სერგოს ასული რიგვავა გარდაიცვალა. გაფურჩქვნის ხანაში შეწყდა მისი ნათელი, ლამაზი და ღირსეული სიცოცხლე, რომელიც აღსავსე იყო ადამიანთა უზარმაზარი სიყვარულით, კეთილი ძრახვებითა და კეთილი საქმეებით.

დარჩა დანაკლისის უზომო ტკივილი და მადლიერი ხსოვნა ნათელი, ნიჭიერი, განუმეორებელი და მნიშვნელოვანი პიროვნებისა.

გულში უზარმაზარი ტკივილით ვიხსენებ რუსიკოსთან უკანასკნელ შეხვედრას.

იდგა 1994 წლის იანვრის გვიანი საღამო. მძიმე ოპერაციის შენდეგ რეაბილიტაციის კურსს გავდიოდი მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში. გაისმა ტელეფონის ზარი. გია მირეკავდა. მან შემატყობინა სასიხარულო ამბავი – რუსა ჩამოსულაო. თუმცა მოგვიან-

ებით საუბარში მითხრა, რომ ის საავადმყოფოში წვება საოპერაციოდ. ძალიან შევშფოთდი, მაგრამ გიამ დამამშვიდა – არაფერია საშიშიო. მთელ შემდეგ დღეს ადგილს ვერ ვპოულობდი, ძალიან მინდოდა მისი ნახვა, ცოტათი მაინც გამემხნევებინა და თავადაც დავმშვიდებულიყავი. და თავი ვერ შევიკავე, საავადმყოფოს მკაცრი წესების მიუხედავად, მოველაპარაკე სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს, ექიმს „ვესესხე“ თეთრ ხალათს და გავსხლტი საავადმყოფოდან. შევიარე ჩერიომუშკის ბაზარში, ვიყიდე, თავადაც რომ ცხოვრებაში პირველად ვხედავდი, ისეთი არაჩვეულებრივი იისფერი ვარდების დიდი თაიგული და მაშინვე გავვარდი საავადმყოფოში.

რომ დამინახა ყავარჯნებით, თეთრი ხალათითა და ხელში ყვავილებით, რუსიკო სახტად დარჩა: „სოსო, შენა ხარ?!“ მაგრად ჩავეხუტეთ ერთმანეთს. რუსიკო დიდებულად გამოიყურებოდა. ეცვა შავი ელასტიკური შარვალი და თეთრი, წელში გამოყვანილი თბილი ჯემპრი, რაც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის მოხდენილ ტანს. ჩემი სტუმრობა ძალიან გაუხარდა, ყვავილებმა კი აღტაცებაში მოიყვანა და მაშინვე მათზე „გადაერთო“, რათა თავისებურად მოეწყო.

ყურადღებით ვუყურებდი რუსიკოს. ავადმყოფობის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა. სახე უბრწყინავდა, ბევრს ხუმრობდა. მასთან დავყავი 30-40 წუთს და დამშვიდობებისას შევთანხმდით, რომ აუცილებლად აქეთ მენვევა.

როგორც შემდეგ მითხრა დედამისმა, რუსიკომ ოპერაციაზე შესვლის წინ ძალიან სთხოვა მედლებს, მისთვის ყვავილები შეენარჩუნებინათ ისეთივე სახით, როგორც მან დატოვა... მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მშვენიერი, ნაზი, კეთილი და მზრუნველი პატრონი უკან აღარ დაბრუნებულა, და ყვავილებიც დაჭკნა...

დაჭკნა ყვავილები და გახმა დეკორატიული მცენარეები მშვენიერ პატარა ბაღში, რომელიც რუსიკომ, მისთვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობითა და მოთმინებით გააშენა თავისი თბილისის ბინის აივანზე და ეს პატარა ტერიტორია აქცია ნამდვილ ედემის კუთხედ. რუსიკოს ახლობლების თავგანწირულმა მცდელობებმა, გადაერჩინათ ეს შესანიშნავი ბაღი, შედეგი ვერ გამოიღო. მხოლოდ ის მათ ელაპარაკებოდა „შენობით“. ჩემი აზრით, ეს კანონზომიერიცაა და ღრმად სიმბოლურიც.

P. S. ჩემო ძვირფასო რუსიკო!

შენს საფლავზე ყოველთვის არის ცოცხალი ყვავილები, და მათ სდარაჯობს დიდი თეთრი ქვის ყვავილი.

შენი შვილი ზუკა ახლა ზურაბია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი.

ხშირად გვეკითხება შენზე, აინტერესებს შენი ლამაზი, არაორდინარული და ნათელი ცხოვრების ყველა წვრილმანი, უმცირესი დეტალიც კი, სევდიანი თვალებით ათვალიერებს თქვენს ფოტოსურათებს, ალბათ აგონდება ის ბედნიერი დრო, როდესაც ერთად იყავით.

ზურაბი ამაცობს შენით, ძვირფასო რუსიკო, ამაცობს იმ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, რომელიც გულში დაუტოვე იმ ადამიანებს, ვინც გიცნობდა.

ის ძალიან კეთილისმსურველი, კეთილშობილი და გულიანი ყმანვილია, და, რაც მთავარია, აქვს ყველა მონაცემი, რათა გახდეს ისეთივე უნიკალური პიროვნება, როგორიც იყავი შენ – მისი ერთგული და დაუვინყარი დედა.

*სოსო სტურუა
იანვარი, 2004 წ.*



რუსიკო და ალექო დენვერში (აშშ) მივლინებით, კოლორადოს შტატში.

2951 Newport Street
Denver, Colorado 80201
March 6, 1996

Dearest Gia

Thank you so very much for sending us Rusiko's letter. You will never know how much getting it meant to us.

Rusiko's letter brought tears to our eyes. One reason is to think that there is still so much strife and confusion in the world and that civilized people must live under the conditions in Alex and Rusiko did. The second reason was because there isn't anything we can do (could do) for them.

I was devastated to learn of Rusiko's death. I still don't understand what the reason/cause of her death was. Can you tell me? We just know she was hospitalized.

We (Jess and I) didn't talk to Alex and Rusiko much after they left Denver. Only about every 2nd of months. Jesse and I miss her very much. I know Alex must miss Rusiko very much as well.

We still call Alex and plan to call him this month. Please thank your mother for saving this letter for us.

Alex and Rusiko have left positive permanent impression on our hearts. We will **never** forget either of them. It's freavy kou God Works! We were asked to host a family at to last minute. We gladly accepted. Who would have known it would have been Alex and Rusiko, the **head** of their delegation. The head of the delegation here was very upset. He thought that Alex and Rusiko should have stayed with him. God had other plans. I think two of us fill into a 'special' friendship the very first time we saw each other. We have been very good friends ever time.

Even in her death, Rusiko has reached out and spread her love, touched 3 hearts and joined us together. What a wonderful person she was and we loved her **dearly**. Sometimes it is difficult to believe she's gone. She will always be in our hearts!

How are you and your family? I pray your mother and father so well.

I hope that our families will become good friends. If you ever make (come) to Denver we open our home to you and your family. It would be a great pleasure to meet you.

I am sending some pictures of Jesse and myself so you will know what we look like.

Does mail from Germany get delivered to Alex better than mail from the United States, or is it most being delivered will at all? If letters are getting to Alex from you, may we send letters to Alex to you and have you place the letter in another envelop and have you send it?

I would gladly send you the postage (as soon as I figure out

low). It's not against the law to do that so it? We don't want to put in any awkward positions. Again we thank you for the generosity you showed in sending us Rusiko's letter. We will always cherish it. Please write us as soon as you can. If you speak with Alex please give him our love.

Please take care of yourself. Hoping we will meet one day.
God bless and keep you!

A Friend forever
Pat & Jesse
Morland





მეულესთან, პროფესორ ალექო ჭილაძესთან ერთად,
დენვერის კლინიკის სტომატოლოგიურ კაბინეტში

წერილი დენვერიდან

2951 ნიუპორტის ქუჩა
დენვერი, კოლორადო 80207
6 მარტი, 1996

უძვირფასესო გია

ძალიან დიდი მადლობა რუსიკოს წერილის გამოგზავ-
ნისათვის. თქვენ ვერასდროს ვერ გაიგებთ, თუ რა მნიშ-
ვნელობა აქვს ამ წერილს ჩვენთვის.

რუსიკოს წერილმა ცრემლები მოგვადინა. ერთი მიზე-
ზია, რომ ფიქრობ, ჩვენს სამყაროში ჯერ კიდევ სუფევს

არეულობა და ბრძოლა, და ცივილიზებული ხალხი უნდა ცხოვრობდეს იმ პირობებში, როგორშიც ცხოვრობდნენ ალიკო და რუსიკო. მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩვენ უძლურნი ვართ ყოველივე ამის წინაშე.

ჩვენთვის გამანადგურებელი იყო რუსიკოს გარდაცვალების ამბის გაგება. ჩვენთვის დღემდე გაუგებარი რჩება, თუ რა მიზეზმა გამოიწვია მისი გარდაცვალება. შეგიძლია აგვიხსნა? ჩვენ ერთადერთი ის ვიცით, რომ იგი ჰოსპიტალიზირებული იყო.

ჩვენ (ჯესის და მე) არ გვისაუბრია ალიკოსა და რუსიკოსთან ბევრჯერ დენვერის შემდეგ. მხოლოდ 2-ჯერ ყოველ თვე. მე და ჯესის ძალიან გვენატრება იგი. მე ვიცი, რომ ალეკოსაც ძალიან ენატრება რუსიკო.

ჩვენ ვგეგმავთ დავურეკოთ ალეკოს ამ თვეში. თუ შეიძლება, მადლობა გადაუხადე დედაშენს ჩვენთვის ამ წერილის შენახვის გამო.

ალიკომ და რუსიკომ ჩვენში დატოვეს წარუშლელი დადებითი შთაბეჭდილება ჩვენს გულებში. ჩვენ **არასდროს** დავივიწყებთ არცერთ მათგანს. ყველაფერი ღვთის ნებაა. ჩვენ სულ ბოლო წუთს გვთხოვეს, ვყოფილიყავით მასპინძლები და ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ ეს წინადადება. ვინ იცოდა მაშინ, რომ ჩვენი სტუმრები აღმოჩნდებოდნენ რუსიკო და ალიკო, მათი დელეგაციის **ხელმძღვანელები**. აქაური (ამერიკა) დელეგაციის ხელმძღვანელი ძალიან შეწუხდა, რადგანაც იგი ფიქრობდა, რომ ალიკო და რუსიკო მასთან უნდა გაჩერებულიყვნენ. ღმერთს სხვა გეგმა ჰქონდა. მე ვფიქრობ, რომ „განსაკუთრებული“ მეგობრობა ჩვენს შორის ჩაისახა შეხვედრის პირველი წუთიდან. ჩვენ მაშინ ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით.

თავისი გარდაცვალებითაც კი რუსიკომ მიაღწია იმას,

რომ გასცა სიყვარული, შეაერთა რა 3 გული და ამით გაგვაერთიანა. რა **შესანიშნავი პიროვნება** იყო და როგორ ძალიან გვიყვარდა. ხანდახან ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ იგი აღარ არის. ის ყოველთვის **იცოცხლებს** ჩვენს გულებში.

როგორ ხართ შენ და შენი ოჯახი? მე ვლოცულობ, რომ დედაშენი და მამაშენი კარგად იყვნენ.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ოჯახები იმეგობრებენ. თუკი ოდესმე ჩამოხვალთ დენვერში ჩვენი სახლი ყოველთვის **ღიაა** შენთვის და შენი ოჯახისთვის. ეს იქნება დიდი პატივი ჩვენთვის.

მე გიგზავნი ჩემსა და ჯესის რამოდენიმე ფოტოსურათს, რათა წარმოდგენა გქონდეს ჩვენზე. იმედია, გერმანული ფოსტით უფრო მალე აღწევს წერილი, ვიდრე აშშ-დან.

შესაძლებელია თუ არა, შენ გამოგიგზავნოთ ალიკოსათვის განკუთვნილი წერილები, რათა შენ შემდგომ მას გადაუგზავნო? ხომ არ იქნება ეს კანონსაწინააღმდეგო? ჩვენ არ გვსურს, ჩაგაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ისეთი კეთილშობილური საქციელისთვის, როგორიც რუსიკოს წერილის გამოგზავნაა. ჩვენ ამას ყოველთვის დავაფასებთ.

გთხოვ, მოგწერო მალე და, თუკი დაელაპარაკებით ალიკოს, გადასცე ჩვენი სიყვარული...

თუ შეიძლება გაუფრთხილდით თავს. იმედია, ოდესმე ვიხილავთ ერთმანეთს.

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ!
მეგობრები სამუდამოდ
პეტი და ჯესი



სსოვნის უკვდავება

უსაყვარლესო, ულამაზესო, სიცოცხლუნა, პატარუნა... ასე ეფერებოდი ყველას შენს გარშემო, თვითონ, მართლაცდა, ულამაზესი, უსაყვარლესი, უსათნოესი, უკეთილშობილესი, საოცრება ადამიანი. ერთად გავიზარდეთ და ცუდი არავისზე დაგცდენია, განაწყენებულიც კი არასოდეს იტყოდი სხვაზე აუგს. ბევრჯერ გვიკამათია გოგოებს ერთმანეთში, რუსოსგან წყენა კი არავის ახსოვს. ყველას გაჭირვების ტალკვესი საკუთარ ტკივილს არავის მოახვევდა თავს. კარგად ვიცოდით, რომ ყველას გვეჯობდი, ვამაყობდით შენით. თავად კი არასოდეს გიგრძენია შენი თავის ფასი – თავმდაბალი, შველივით ლამაზი ყველას ალამაზებდი შენი არსებობით. ყველაფერს ასწრებდი; სულ გეჩქარებოდა, მაგრამ მაინც ყველასთვის იცლიდი, არავინ გრჩებოდა უყურადღებოდ!

ჩაქრა შენი ბრდღვიალა, ლამაზი, თან სევდიანი, წყლიანი თვალები, შენი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ღიმილი. ახლაც ყურებში გვიდგას შენი ღულუნა ხმა. ქრისტესმიერი გზით იარე და გაფრინდი კაფანდარა ჩიტივით.

როგორ დააკლდები შენს „ცისფერთვალება ზუკუნას“ ასე უდროოდ რომ დაობლდა. რა ქნას შენმა დედუნამ, შენმა მამამ, გიუნამ, ალიკუნამ?!

რა ვქნათ ჩვენ, შენმა გოგოებმა?!

როგორ მოგვენატრები, რუსუნა!!!

მეგობრები

გაზეთი „ახალი თაობა“, 8 თებერვალი, 1994 წ.





წარსულის გახსენება

ჩვენო ლამაზო მეგობარო, მართლაც რომ ლამაზო, 16 ივნისს 50 წელი შეგისრულდებოდა. შენი ღიმილი ახლაც გვატობს. გიყვარდა სიტბო, სიკეთე, თვით სიყვარული და ყოველი ჩვენგანი გიყვარდა განსაკუთრებულად, გიყვარდა გაზაფხული, ძალიან გიყვარდა.

20 წელია გაზაფხული მაინც მოდის, მაგრამ რა გულსატკენია, რომ უშენოდ.

მაინც როგორი დიდი ტკივილი მოგვაყენე. ბოლოს რომ გნახეთ ამხანაგის ბავშვს შენებურად მიეფერე: ვაიმე, რა პატარუნაო. ახლა თავს ვიჭერთ იმაზე, რომ შენებურად ვეფერებით და თან შენი თბილი, ალერსიანი ღიმილი გვახსენდება.

შენ იყავი სიცოცხლის და გაზაფხულის მოტრფიალე – ოჯახისშვილობით, თავმდაბლობით, ნიჭიერებით, გარეგნობითა და ადამიანობით გამორჩეული. საოცრად

კეთილმოსურნე, მუდამ მოკრძალებული და თავაზიანი, ავკარგიანი და უშურველი, ირგვლივ მყოფთა მიმართ ყურადღებიანი და მზრუნველი.

არასდროს დაგვავიწყდება – ბრწყინვალე პროფესიონალი, უღალატო მეგობარი, მოსიყვარულე შვილი, შესანიშნავი მეუღლე, განუმეორებელი დედა.


რამდენი კეთილი საქმე დადე ქვაზე...

შენს კვალზე გაზრდილი შენი პატარა ზუკა – ზურაბ ჭილაძე დღეს ღირსეული ვაჟკაცია – ჭკვიანი, კეთილშობილი, გულისხმიერი პიროვნება და შესანიშნავი მოქალაქე.

ასეთი იყავი რუსო, ასეთი ნახვედი ჩვენგან, ასეთი დარჩები მუდამ ჩვენი თაობის მეხსიერებაში.

შენი მეგობრები

2014 წლის ივნისი, თბილისი, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №21.



რუსიკოს მემოზრები

დღეს ყველა შემდგარი პიროვნებაა, ნაყოფიერ
საქმიანობას ეწევა და მომავალ თაობებს ზრდიან

- **რუსიკო კვაჭანტირაძე** – ფსიქოლოგი, ყავს
ქალიშვილი, 1 შვილიშვილი
- **ქეთი ყიასაშვილი** – ფსიქოლოგი, ყავს
3 ვაჟიშვილი, 1 შვილიშვილი
- **ია ზამბახიძე** – მასწავლებელი, ყავს
ვაჟიშვილი, 1 შვილიშვილი
- **ქეთი რამიშვილი** – ხელოვნებათმცოდნე, ყავს
ქალიშვილი, ვაჟიშვილი, 1 შვილიშვილი
- **ლელა მინდელი** – ქიმიკოსი, ყავს
ქალიშვილი, ვაჟიშვილი, 3 შვილიშვილი
- **მაია ჭანტურია** – ფილოლოგი, ყავს
ქალიშვილი, ვაჟიშვილი, 2 შვილიშვილი
- **თამრიკო ვასაძე** – აღმოსავლეთმცოდნე, ყავს
2 ვაჟიშვილი, 2 შვილიშვილი
- **ეკა კოპალეიშვილი** – ექიმი, ყავს
ქალიშვილი, 2 ვაჟიშვილი, 3 შვილიშვილი
- **ნინო კუხიანიძე** – კერძო მენარმე, ყავს
ვაჟიშვილი, 2 შვილიშვილი
- **ნათია იაშვილი** – განათლების მუშაკი, ყავს
2 შვილი, 4 შვილიშვილი

ისტორიული რელიკვია



პროფესორი **რუსუდან ნიკოლაძე** – არაორგანული ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.



გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერ-დემოკრატის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928 წ. წ.) დაკვეთით ქალიშვილისთვის პარიზში დამზადებული ექსლიბრისი, უკვე ხანდაზმულმა ცნობილმა პროფესორმა-ქიმიკოსმა რუსუდან ნიკოლაძემ პირველ კლასელ რუსიკოს უსაჩუქრა 1970 წელს.

ამ 120-წლიანი სიძველის ბეჭდით არის მონიშნული რუსიკოს პირადი ბიბლიოთეკის წიგნები.



უკვდავებაში გადასული

გამოვიდა რუსუდან რიგვაგას ნაშრომი „სტომატოლოგიაში ფიბრინული ნებოს გამოყენების ეფექტურობა“.

ჩვენო მკითხველო, ეს კოპნია გამოცემა ახლახანს დაისტამბა (რუსულად) და იგი ახალგაზრდა ექიმისა და მეცნიერის რუსუდან რიგვაგას დაბადების 40 წლისთავს ეძღვნება. მაგრამ რუსუდან რიგვაგა მარად 30 წლისა იქნება.

იგი საუცხოო ქალიშვილი, დედა, მეუღლე და ადამიანი, პიროვნება, 10 წლის წინათ შეუერთდა მარადისობას.

10 წელიწადია, რაც რუსუდან რიგვაგა აღარ მსახურობს საყვარელ საქმეს, აღარ დაჰგურგურებს თავის ლამაზ ოჯახს, ასაკისმიერ შემოდგომის მზეს ვერ უხალისებს მშობლებს – ქალბატონ ვიქტორია სირაძეს და ბატონ სერგო რიგვაგას.

წიგნს ერთვის რუსუდანის მოკლე, მაგრამ საინტერე-

სო ბიოგრაფია: „მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან სერგოს ასული რიგვავა 1964 წლის 16 ივნისს თბილისში დაიბადა.

1980 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს – მოსკოვის ნ. ა. სემაშკოს სახელობის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტი. შემდეგ იყო მაშინდელი სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორდინატორი და იქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი. ამავე ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე განაგრძო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მოგვიანებით კი – ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე. იგი ავტორია მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა.

გარდაიცვალა 1994 წლის 27 იანვარს“.

რუსუდან რიგვავას წიგნის რედაქტორია სსრ კავშირისა და რუსეთის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი ვლადიმერ გიგაური.

წიგნი იხსნება რუსუდან რიგვავას ხსოვნისადმი მიძღვნილი მეტად თბილი და სინანულიანი წერილით, რომელსაც ხელს აწერენ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, პროფესორები, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის კოლექტივის წარმომადგენლები, ადამიანები, რომელთაც საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ მისთვის, როგორც იმედისმომცემი მზარდი სპეციალისტისა და მეცნიერისათვის, მოხიბლულიყვნენ მისი ნიჭიერებითა და პიროვნული თვისებებით.

მონოგრაფია შეიცავს სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ფიბრონული ნებოს გამოყენების ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევის მონაცემებს, ფიბრინული ნებოს ჰემოსტატიკური მოქმედების ეფექტურობის შეფასებას და სტომატოლოგიური ოპერაციების დროს მისი გამოყენების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ახალი თაობის ნებოვანი ჰერმეტიკების ათვისებისა და ქირურგიაში მათი დანერგვის გამოკვლევათა სწრაფი განვითარების თანამედროვე პირობებში ეს სამუშაო, რომელიც შესრულებულია 90-იანი წლების დამდეგს, უთუოდ საინტერესოა სტომატოლოგიური პროფილის მეცნიერი მუშაკებისა და პრაქტიკოსი ექიმებისთვის, როგორც პრიორიტეტული ფაქტორი ჰემოსტაზის პრობლემის გადაჭრის გზაზე, რომელმაც დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გააფართოვა სტომატოლოგიაში ქირურგიული ჩარევის დროს ფიბრინული ნებოს გამოყენების სფერო.

ინტერესით გავეცანი რუსუდან რიგვავას მონოგრაფიას “Эффективность применения фибринового клея в стоматологии” („სტომატოლოგიაში ფიბრინული ნებოს გამოყენების ეფექტურობა“).

ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მერი ნულუკიძემ ზემოთაღნიშნული წიგნისა და მისი მშვენიერი ავტორისადმი. „რაოდენ დასანანია, რომ ამ წიგნის მარად ახალგაზრდა ავტორი, უაღრესად სათნო, ინტელექტუალური, ზნეობრივად და ფიზიკურად სრულქმნილი პიროვნება, დღეს ჩვენს შორის აღარ არის... ბედის უკუღმართობა ფეხდაფეხ დაედევნა მას და ცხოვრების ლამაზ მონაკვეთში მისი სიცოცხლე ფატალურად დასრულდა.

წიგნის ავტორმა მეცნიერული შემოქმედების გარიჟრაჟზე წარმატებით შეძლო საკუთარი დაკვირვებით მიღებული არგუმენტირებული შედეგები ეჩვენებინა და დაეთოვებინა ჩვენთვის, რომელიც დღესაც გასათვალისწინებელია და სასარგებლოა პრაქტიკულ სტომატოლოგიაში მოღვაწე ექიმებისთვის, და საერთოდ, საექიმო საზოგადოებისთვის“.

წიგნს ერთვის რუსუდან რიგვას ცხოვრების ამსახველი ილუსტრაციები.

ბრძენს უთქვამს, სიკვდილი უკვდავების დასაწყისიაო. რუსუდანმა ნაადრევად დაიმკვიდრა იგი ყველას გულში.


ბელა დურგლიშვილი
„საქართველოს რესპუბლიკა“ №193,
პარასკევი, 20 აგვისტო, 2004 წელი.



სინანულის ბალადა

დრომ მოიტანა, მსახვრალმა,
ვინ იყო ამის მდომი –
გრილი, შრიალა, შუაზე
გახლიჩეს იპოდრომი.

ძნელია, ხანმოთეულმა,
წუხილი დაიოკო...
რა ბედისწერამ გააქრო –
ვარსკვლავთვალეება გოგო?!



ემზარ კვიციანი

მზის დასდიოდა ნათელი
ლალს და ზღაპრულად ლამაზს,
ნალველი შემომანვება,
როცა ვიხსენებ ამას.

ბილიკზე მოირხეოდა
მისი ასხმული ტანი...
ოცდაორი წლის ქალღმერთი,
ვიხილე რუსუდანი.

რძისფერი სახე... ვამსგავსე
გაჩენილს ამორძალად;
გულში ვთქვი: ეშხი თავად ცას
მოსტაცა, გამოსძალა.

ცეცხლოვანს, სუნთქვით შეეძლო,
ბალახი გადეტრუსა...
თავს ევლებოდნენ ტოლები,
მახსოვს, ეძახდნენ „რუსას“.

მანუჟის წინაც მინახავს,
ჩემ ბიჭს რომ ვაკითხავდი.
ნეტა იმ წუთებს... ალვისხე
დამტრიალებდა თავით.

ყირავდებოდა კვირა დღე,
ეს იყო მისი ჰობი...
უშრიალებდა გიშრის თმა,
საცხენედ გამოწყობილს.

გაშლილი იყო მინდორი,
რისი ჭანჭრობი, რა ფშა!..
ფიცხს, ლაფში ფლოქვებჩაუდგმელს,
დააგელვებდა ლაფშას.

მაისის მოლზე ხასხასა,
სამოსი ეცვა ხაკის;
მეჩვენა, მზერა ესროლა
ბაგების მხარეს – ვაკეს.

მინყდა სივილი ქარისა,
სავალი გადიკეტა...
ახლალა ვამბობ, შორიდან
იოლი არი ჭვრეტა.

თვალს ვავლებ იმ წლებს, გავარდნილს...
ჯვრად ნაჭედ რკინის კართან,
გვერდით დაბზარულ გალავნის –
მზექალი დასამარდა.

ემზარ კვიციანიშვილი
2013



დეა ბერულავა, – რუსიკოს ნათლული, ჟურნალისტი,
ჰყავს ორი ვაჟიშვილი.

ზეცად ამაღლება

შენი ზეცად ამაღლება ძალიან შორს ვიგრძენი, რუსი...
უშნოზე იტყვიან, ბედნიერი იქნებო... – ამქვეყნად
ხანგრძლივი ყოფა თუა ბედნიერება... (!?)

ლამაზები დროებით მოდიან!

შენი მშვენიერება გაიკიაფებს სანუთროში, რათა
ცოდვის მორევში მყოფთ შეგვაგრძნობინოთ – რაა სილა-
მაზე სულის...

როცა მნათლავდი, გული წამივიდა, გახსოვს, რუსი?!
სიმბოლურია: – შენს ძლიერებას ვერ აუვედი, – წუთით
განმაშორა უფალმა სანუთროს, – შენს სიდიადეს მაზიარა...

მეამეყებოდი, თუმცა არც გავამპარტავებულვარ, –
შენი თავმდაბლობა დამანათლე ალბათ, ჩემო ერთადერთო,
ლამაზო ნათლიავ...

მოვალეობამოხდელი, ზნესრული განთავისუფლდი –
შეუერთდი ზესამყაროს, მაგრამ ჩვენ ხომ ღალატად აღ-
ვიქვამთ ამას, – უღირსნი, დარჩენილნი წუმბეში, წუთი-
სოფლად... ამდაც გსაყვედურობთ... რუსუდან!

უმეცარნი უფალსაც შევბედავთ ხოლმე საყვედურს.

„ვედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩვენთათვის!“

დეა ბერულავა

2 თებერვალი, 1994 წელი.

სტოქჰოლმი

ჩემს ოთახში ერთადერთი ჩარჩოიანი სურათია –
რ უ ს ი კ ო ს ი ...

რომელიც ყველას ყურადღებას იპყრობს... ერთიორად
დამიფასეს საქართველო, – ასეთი მშვენიების, სილამაზის
მშობელი. მისი სული ანათებს! სურათიც, – ნათელი სუ-
ლით ამეტყველებული...

რუსიკოს სულიერი სისპეტაკე ღრუბლის მეტყველი
მშვენიერების შესატყვისია:

ღრუბლის ფანტელივით ახლობელი – რადგან მუდამ
თავს დაგვტრიალებს და გვეფერება; შორეული – რადგან
ეს სიმაღლე მიუღწეველია ჩვენთვის, მიწაზე დარჩენილ-
თათვის.

დეა 21.09.95

სტოქჰოლმი

ჩემო ლამაზო და ნაზო,
ამაღლებულო ცად,
ჩემო მირონო და მადლო,
დამკვიდრებულო ცად
რ უ ს ი კ ო !
ჩვენ – ვჭკნებით, ვღონდებით, –
ვებრძვით მინიერს ჩვენში –
შენ – ზნესრული და განწმენდილი
გვიმზერ ცის სილაჟვარდიდან...
ისე ძლიერად, მხნედ
სულ თავს დაგვტრილებ
და გვეფერები, გვაესებ და
გვეალერსები...
მხოლოდ თვალები გვაკლია შენი...
ფიზიკურად.

დეა, სტოქჰოლმი, 17 ივნისი, 1996 წელი.



მტკივნეული „გამოხმობა“

დაბადების დღე დიდმნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლეში, სიცოცხლის შემდეგაც... ასეთ შემთხვევაში, ამ დღეს ჩვენთვის, აქ დარჩენილებისთვის ედება განსაკუთრებული ფასი, თითქოს თითოეული ჩვენგანი ცდილობს იმქვეყნად წასული ძვირფასი ადამიანის გამოხმობას... მოგონებებით, მის ახლობლებთან ურთიერთობით... მტკივნეულია ეს „გამოხმობა!“ მით უფრო, თუ ეს ადრე წასულს უკავშირდება...



დამანა მღვიწიშვილი

ადრე, ძალიან ადრე წავიდა, ჩვენგან, რუსუდან რიგვავა (1964-1994). ივნისში რუსიკოს დაბადების დღეა... მისი ხანმოკლე სიცოცხლე სავსე იყო ადამიანებისადმი სიყვარულით, სიკეთით, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობით... ასე იცხოვრა 30 წელიწადი.

1985 წელს დაამთავრა მოსკოვის სემაშკოს სახელობის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტი და მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ორდინატურის გასავლელად. ახალგაზრდა პროფესიონალისთვის განსაკუთრებული ნდობა და პატივი იყო ამ ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევა... მერე სწავლა განაგრძო დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასპირანტურაში. 1990 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფიბრონული წებოს გამოყენების

ეფექტურობა სტომატოლოგიური ოპერაციების დროს“.

ხანმოკლე ბიოგრაფიის პერიოდში რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორობაც მოასწრო; მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში... ყველგან გამოარჩევენ მაღალნიჭიერებით, ცოდნით, ამ ყოველივეს გაზიარების კულტურით. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში მას საკმაოდ გამოცდილი კოლეგები დიდი ინტერესით უსმენდნენ, მის აზრს ითვალისწინებდნენ პრაქტიკაში. უფრო მეტიც, კლინიკაც და კათედრაც, რთულ სიტუაციებში, არცთუ იშვიათად საკონსულტაციოდ, უმცროს კოლეგას უხმობდა იმედით.

...ვინ იფიქრებდა მოულოდნელად მოვარდნილ ტრაგედიაზე... ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ენერგიით სავსე, მუდამ ღიმილიან რუსუდანს რაიმე მოერეოდა...

– ბავშვობიდან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, – გვითხრა ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ, რუსუდანის დედამ, – მღეროდა, უკრავდა, ცეკვავდა, ხატავდა, წერდა, ფლობდა უცხო ენებს. ყველას უკვირდა, ნებირობაში გაზრდილი, რად იყო ასე მოკრძალებული...

ვიცი, ქალბატონო ვიკა, ბევრისგან გამიგია, მშობლების მიერ მისთვის დაბარებულ მსუბუქ მანქანასაც კი თავს არიდებდა თურმე, რომ თანატოლებისგან არ ყოფილიყო გამორჩეული. იდეალურად მოსიყვარულე შვილი იყო – მშობლებისათვის, ასევე იდეალური დედა, მეუღლე და, მამიდა... რუსუდანის მამას, ბატონ სერგო რიგვავას უთუოდ ბევრი აქვს მოსაგონარი, მაგრამ... თავშეკავებულმა, უნებლიეთ, მხოლოდ ეს ამოთქვა: „უკვე გათხოვილს, მოსანახულებლად რომ ვენწეოდი, კარებთან ისეთი სიხარულით და შეძახილით შემომეგებებოდა, მთელი სამეზობლო ჩემს მისვლას უმალ გაიგებდა...“

შვილის დაკარგვით გულმოკლული დედა, თითქოს განუდგა საზოგადოებრივ ცხოვრებას. უარყო რამდენჯერმე შეთავაზებული პასუხსაგები სამსახური. ალბათ, იმიტომაც, რომ ფიქრითაც და საქმითაც, მუდამ შვილებთან და შვილიშვილებთან ყოფილიყო, უფროსი ვაჟი გია როგვავა, განათლებით, დიპლომატია, ხატავს, ორი შვილი ჰყავს: 17 წლის ლადო და 2 წლის სერგო. რუსიკოს დედისერთას – 15 წლის ზურაბს, განსაკუთრებულ სიტბოს უნაწილებს ბებია. რაც დედისგან აკლია ზურაბს, მამა ცდილობს, შეუვსოს – ალეკო ჭილაძე პროფესორია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ღმერთი ჰფარავდეს რუსუდანის უმანკო სულს...

დამანა მდივნიშვილი

გაზეთი „თბილისი“, 24 ივნისი, 2000 წ.





მერი კანდელაკი

ნათელი სახელის არღვევა

ჩემო საყვარელო რუსიკო, შენი დაბადება გუშინდელ დღესავით მახსოვს. ბუნებამ გულუხვად დაგაბერტყა ყოველგვარი სიკეთე: გარეგნულად მშვენიერს მშვიდი და უწყინარი ხასიათი გჰქონდა; კარგი იყავი, როგორც შვილი, როგორც მეუღლე, შესანიშნავი დედა, კარგი მეგობარი, ბრწყინვალე ექიმი. ერთხელ შენთან მოხვედრილი პაციენტი სხვისკენ აღარ გაიხედავდა; რამდენი იშრომე, რამდენი რამ მოასწარი ამ მცირე დროში. სადოქტოროს დაცვა აღარ დაგცალდა. იქნებ უკეთესი იყო ნაკლები გემრომა და მეტი დრო გქონოდა ცხოვრების მშვენიერებით დატკობისათვის. ყოველი შენთან შეხვედრა ჩემთვის დღესასწაული იყო.

რა გულსაკლავია, რომ შენი დედა, ვისი მუდმივი საზრუნავიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გასაჭირში ჩა-

ვარდნილი კაცის შველა იყო, შენს გადასარჩენად უძლური აღმოჩნდა.

შვლის ნუკრივით ლამაზო და მშვენიერო რუსა, მშურს იმ ხალხის, ვინც შენ არ გიცნობდა. გულმკვდარია ყველა, ვინც შენი ბუნება იცოდა და შენი სიახლოვე შვებას ანიჭებდა. შეიძლება იმიტომაც იყავი ამდენი მშვენიერი თვისებით დაჯილდოვებული, რომ დიდხანს არ უნდა გეცოცხლა.

უფალმა დაამკვიდროს შენი ნათელი სული სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

ქედს ვიხრი შენი სრულყოფილი მშვენიერების წინაშე. მშვიდობით ჩემო ამქვეყნიურო ქალღმერთო.

მერი კანდელაკი

საქართველოს დამსახურებული ექიმი
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

გაზეთი „თბილისი“, 2.02.94 წ.





Нина Завриева

ПОЗДРАВЛЕНИЕ

Скромна, умна и величава,
красотка Русико Ригвава.

Прими мои ты поздравленья –
здоровья крепкого желаю,
больших удач во всём, везде
и в личной жизни, и в труде.

Целую, обнимаю
«поэтесса» тетя Нина Завриева
друг семьи, кандидат мед. наук, 16 июня 1982 г.
Супруга выдающегося Советского ученого, директора
Тбилисского научно-исследовательского института
сейсмологии АН Грузии, Академика Завриева К. С.



მეგობრობის მაღლი

რუსიკოს საოცრად საინტერესო სტუდენტობა ჰქონდა. ნ. სემაშკოს სახელობის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის დიპლომი მოსკოვის დანარჩენი სამედიცინო ინსტიტუტებისგან განსხვავებით, უცხოეთში კონვენტირებული, ცნობილი და აღიარებული იყო.

სასწავლო პროცესიც სათანადოდ გააზრებული იყო. ლექციები, სემინარები, კოლოქვიუმები და პრაქტიკულები ტარდებოდა უახლესი სამედიცინო ტექნიკით და თვალსაჩინოებით აღჭურვილ ლაბორატორიებში, აუდიტორიებში და მოსკოვის წამყვან კლინიკურ ბაზებზე.

სასწავლო ჯგუფები მცირერიცხოვანი იყო და ყოველი სტუდენტი უმაღლესი რანგის პროფესორ-მასწავლებლისა და კლინიკების სამედიცინო პერსონალის უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა...

სწავლის ყოველი დღე საინტერესო და სახალისო იყო, ძიებით და ახალი აღმოჩენეჭებით აღსავსე. რუსიკოს კარგი მომზადება და ერუდიციაც უწყობდა ხელს.

შესანიშნავად იცოდა ქიმია, ანატომია, რუსული და ინგლისური ენა, ადვილად ეუფლებოდა ლათინურს... დამთავრებული ჰქონდა მუსიკალური შვიდწლედის, უკრავდა, მღეროდა, მთელი დღე დაკავებული იყო...

მუდმივი გადაადგილების და გადარბენების პროცესში მოსკოვსაც ეცნობოდა...

დაღლას არ გრძნობდა...

ყველაფერს ასწრებდა და კულტურულ ცხოვრებასაც არ ჩამორჩენია...

იმხანად მოსკოვის თეატრებში მოხვედრა მოსკოველებისთვის მიუწვდომელი ფუფუნება იყო...

რუსიკოს და მის თანაჯგუფელებს დიდ თეატრში და სხვა წამყვან თეატრებში არც ერთი პრემიერა არ გაუცდენიათ დიდ თეატრში მოღვაწე დიდებული ქართველების რეჟისორ იოსებ თუმანიშვილისა და მხატვარ სოლიკო ვირსალაძის წყალობით...

კვირა დღეს კი მუზეუმებსა და გამოფენებს უთმობდნენ.

რუსიკო ყველგან სასურველი სტუმარი იყო ახლად გაცნობილ კულტურულ ელიტასთან და გიას მეგობრებთან.

ძალიან უყვარდა ცნობილი პარტიული მუშაკისა და დიპლომატის ნიკოლოზ ფირიუბინის ქალიშვილი – მარგარიტა ფირიუბინა („Ритик“-ა) – ლამაზი და ჭკვიანი ხელოვნებათმცოდნე და მისი მეუღლე რუსეთის ფედერაციის კინომატოგრაფისტთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, დახვეწილი არისტოკრატი ალექსანდრე ფილიპოვი. მათი ურთიერთობა იმით დასრულდა რომ რუსიკო და ალექოს თავისი უცხოეთში სამუშაოდ წასული შვილის 4 ოთახიან ბინაში მიიწვიეს საცხოვრებლად გორკის ქუჩაზე მოსკოვის მერიის გვერდით და რა თქმა უნდა სიტბოს, სიყვარულს და ყურადღებას არ აკლებდნენ.



**მარგარიტა
ფირიუბინა**

ასეთივე ურთიერთობა აკავშირებდა რუსიკოს გამოჩენილ მწერალსა და მსახიობთან ირაკლი ანდრონიკოვთან, მის ულამაზეს მეუღლესთან ქ-ნ ვივასთან და ქალიშვილებთან მანანა და ეკატერინესთან. ხშირად პერედელკინოში მიყავდათ რუსიკო თავის აგარაკზე. ძალიან უყვარდა რუსიკოს ცნობილი გენერალ-პოლკოვნიკი ივანე პოდგორნი და მისი ლამაზი მეუღლე გალია...

რუსიკო უყვარდათ და ანებივრებდნენ ყურადღებით ცნობილი მუსიკისმცოდნე და მწერალი, ნამი მიქოიანი,

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის გამგე ვერა ტარუცი და მისი შვილი, სინქრონული თარგმანის დიდოსტატი ანდრეი; ცნობილი კინორეჟისორი ტატიანა ლიოზნოვა; მოსკოველი მეზობლები რუფა ბაბაიანი და მისი შვილები...

რუსიკო მორწმუნე იყო. ელოხოვის ტაძარში მოძღვარიც ჰყავდა, წირვებს ესწრებოდა;

განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა მოსკოველ ქართველებთან:

მარშალ არჩილ გელოვანის მეუღლე ექიმ ქეთო გელოვანთან, მის შვილთან – აკადემიკოს ვიკა გელოვანთან და მის ღვთაებრივ მეუღლესთან, ექიმ ნანა ანჯაფარიძესთან;

ცნობილი ინჟინერ კონსტრუქტორის ელგუჯა შველიძესა და მის მეუღლესთან ნინასთან.

მშობლების მეგობრების ღირსეულ მემკვიდრეებთან, მერაბ დვალთან – ამჟამად პროფესორთან, თბილისში სახელგანთქმული კლინიკა „ახალი მზერა“-ს ხელმძღვანელთან და მის მშვენიერ მეუღლესთან, ექიმ-გინეკოლოგ მანანა შენგელაიასთან.

პროფესორი მერაბ დვალი და მისი მეუღლე ექიმი-გინეკოლოგი მანანა შენგელაია



ნამი გვეურთოვა-მიქოიანი



ქეთო გელოვანი



მანანა იმხანად სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი იყო, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. აქ 1985 წლის 10 აპრილს ზუკა მოველინა ამ ქვეყანად.

მანანას მზრუნველობის და ყურადღების წყალობით რუსიკომ შეძლო მშობიარობის მე-15-ე დღეს სახელმწიფო გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარება, ორდინატურაში ჩარიცხვა და შინ ჯანმრთელად დაბრუნება.

სხვათაშორის ეს ოჯახი, ისევე როგორც მათი მშობლები, საზოგადოებაში ცნობილი არიან სიკეთის თესვით, ირგვლივ მყოფთა გაჭირვების გაზიარებით და უანგარო დახმარებით.

მოსკოვში რუსიკოს არ დაკლებია ალექოს ნათესავების ყურადღება, ალექოს დეიდის, ცნობილი მეან-გენეკოლოგის, პროფესორ ზინა ერისთავისა, რომელმაც ერთი თვის შვებულება რუსიკოს და ზუკას მოვლას შეაღია.

რუსიკოს ძალიან უყვარდა ალექოს მამიდებიც: ქები ციალა და ფისო ქილაძეები; მეგობრობდა მათ შვილებთან, თეა ჭკუასელთან, ეკა და ლიკა ჭანტურიასთან. არანაკლებ სიახლოვე ჰქონდა ბიძაშვილებთან – პროფესორ-კარდიოლოგ ლია რიგვაზასთან, უნივერსიტეტის ფიზიკოს-პროფესორთან ბორია ბერულავასთან და მის მეუღლე ციალასთან, მათ შვილებთან – ზაზა და დეასთან, მეზობლებთან, ცნობილ ქირურგ ამალია ფჩიოლკინასა, მის ქალიშვილებთან ლიზა და ლიანასთან; ლელა, იკო და გიო ყურაშვილებთან, უყვარდა ალექოს მეგობრები, განსაკუთრებით მალხაზ ბაძალუა – ამჟამად პროფესორი, კრიმინოლოგი.

გიას მეგობრებიც თავს ევლებოდნენ რუსიკოს.

ალეკოს მშობლები

უსაზღვრო რიდი, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა რუსიკოს ალეკოს მშობლებისადმი – სახელგანთქმულ მეან-გენეკოლოგის, პროფესორ ზურაბ ჭილაძის და მაღალავტორიტეტულ ეკონომისტს ცაცა სარაულის. ორივეს მოსკოვში ჰქონდა მიღებული განათლება.

შემთხვევითი არ იყო, რომ უდედოდ დარჩენილმა 8 წლის ზუკამ მათ ოჯახში ისურვა დარჩენა.

ზურაბ ჭილაძე – ხიბლით გამორჩეული, წარმოშობით თავადი, ქართული სამედიცინო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

ცნობილია მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე.

კვლევითი საქმიანობა, სიახლეების დანერგვა, ღრმა შინაარსიანი ლექციები, კონსულტაციები, ბრწყინვალე ოპერაციები თბილისის პირველ სამშობიარო კლინიკაში, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა, ათასობით გადარჩენილი დედის უსაზღვრო მადლიერება...

ზურა ბაბუ უზომოდ დაკავებულობის მიუხედავად ზუკას გვერდიდან არ იცილებდა. თავის მხრივ ქალბატონი ცაცა სითბოს, მზრუნველობას და სიყვარულს არ აკლებდა მას...

2001 წელს ზუკამ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის 55-ე საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა.

ქ-ნი ცაცა თან გაჰყვა მას ინგლისში, როცა ის ოქსფორდის „Kingham Hill School“-ში ჩაირიცხა.

2005 წელს ხელი შეუწყო აშშ-ში „Santa Monika“ კოლეჯის სასწავლო ცენტრში, ხოლო 2003 წელს საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტთან არსებულ ფრანგული ენის შენსწავლელ კურსებზე, პარიზში გამგზავრებას.

2004 წელს ზუკა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგულ კოლეჯში ჩაირიცხა.

2006 წელს მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ზუკამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა საერთაშორისო ჟურნალისტიკის განხრით.

2007 წელს კი ამავე უნივერსიტეტის მცირე აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ მიიღო ფინანსებისა და საბანკო საქმის მართვის სპეციალობა.

2002 წელს უეცრად გარდაიცვალა ბაბუა – ზურაბ ჭილაძე;

ქალბატონი ცაცა და ალექო მუდამ გვერდით ყავდა ზუკას. მისი შინ დაბრუნებამდე ქ-ნი ცაცა ფანჯარასთან იდგა და ელოდებოდა.

2007 წლის 8 ნოემბერს ოჯახს კვლავ სამინელი ტრაგედია დაატყდა თავს: უეცრად გარდაიცვალა ალექო.

ქ-ნ ცაცას და მეგობრების თანადგომით ზუკამ ამ განსაცდელსაც გაუძლო.

სამწუხაროდ ქ-ნი ცაცა ვერ მოესწრო ზუკას დაოჯახებას და პატარა რუსას ამ ქვეყნად მობრძანებას.

ორიწლინახევრის რუსა საოცრად გავს რუსიკოს –

ლამაზი, ჭკვიანი, თბილი, ნიჭიერი და კეთილი ბუნებისაა.

ზუკა კი ბედნიერი, საოცრად მოსიყვარულე და მზრუნველი მამაა...

თუმცა დედაზე ფიქრი, მონატრება, განცდა და ტკივილი ერთი ნუთითაც არ შენელება მას...

ყოველდღე ლოცვით მიმართავს – „შენ ჩემთვის უკვდავი ხარ დედა!.. ყოველნამს ჩემთან ხარ, ჩემს გვერდით... და ასე იქნება შეხვედრამდე მარადიულ სასუფეველში“...





ორწლიანხევრის რუსა და
მისი 5 წლის რუსიკო ბებია
(ქ. მაღალაშვილის ნახატი)

...სიცოცხლე გრძელდება!..

28 წელია, რაც რუსიკო წავიდა ჩვენგან და სამუდამოდ დაგვეშორდა სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე, ერთგული და თავმდაბალი, სათნო და ლამაზი ადამიანი.

საოცარი თვისებები იყრიდა თავს ამ ღვთისნიერ პიროვნებაში...

დიდი განათლება, მომადლებული შემოქმედებითი ნიჭი, ღირსება, შემართება, მტკიცე ხასიათი, შესანატრი შრომის უნარი და ქრისტესმიერი სიყვარული...

ჭეშმარიტება, განუხრელი მრწამსი, სინმინდე, სიყვარული და მაღლი იყო მისი მთავარი ფასეულობანი, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა...

მაღლის ღვთაებრივ სხივს არასდროს აკლებდა ირგვლივ მყოფთ...

მაღლი კი სიცოცხლეა...

ღვთის ნებით სიცოცხლე გრძელდება...

მცირე ფოტოგატიანე



რუსიკო 6 თვის



რუსიკო 1 წლის



ერთი წლის რუსიკო ძმასთან გიასთან



3 წლის რუსიკო ბიძაშვილ ლელა
სირაძესთან, 1966 წ.



რუსიკო 4 წლის



რუსიკო 4 წლის



რუსიკო აივანზე – 4 წლის



ბაკურიანში, 1968 წელს



რუსიკო 5 წლის



რუსიკო 5 წლის



რუსიკო საბავშვო ბაღში
მორიგეა – 5 წლის



რუსიკო ლიკანში – 5 წლის



რუსიკო 6 წლის



რუსიკო ყირიმში
ზღვაზე – 6 წლის



რუსიკო წყნეთში საქანელაზე,
მეგობრებთან ლელა და იკო
ყურაშვილებთან ერთად (1970 წ.)



ოჯახის მეგობარი, მედიცინის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ლეო
დვალი რუსიკოსთან ერთად ვაკის პარკში.



რუსიკო პირველკლასელი, 1970 წ.



რუსიკო პიონერი, 1974 წ.



რუსიკო I კურსის სტუდენტი



რუსიკო დედასთან ერთად 1969 წ.



რუსიკო მამასთან ერთად 1970 წ.



4 წლის რუსიკო
ძმასთან ერთად



რუსიკო მშობლებთან და ძმასთან ერთად



რუსიკო სურათს უღებს ოჯახის წევრებს



რუსიკო ინსტიტუტის მეგობრებთან.
მოსკოვი, 1983 წელი.



რუსიკო მცხეთაში,
1982 წელი



სამეცნიერო კონფერენციაზე
გამოსვლის დროს სოფიაში
(ბულგარეთი-1993 წელი)



რუსიკო, 1992 წელი



რუსიკო წვეულებაზე



მეგობარ რუსიკო კვაჭანტირაძესთან ერთად,
1981 წელი



რუსიკო წყნეთში,
1985 წელი



ალექსანდრე ჭილაძე –
მეუღლე, პროფესორი



მეუღლესთან ერთად თბილისში
ჯანდაცვის სამინისტროს
საქართველოს ექიმთა
დახელოვნების ინსტიტუტის
კათედრაზე



ზუკა 5 თვის



ზუკა 3 წლის




ზუკას პირველი ნაბიჯები ცაცა ბების და ზურა ბაბუს დახმარებით,
1986 წლის აპრილი



ბედნიერი დედა და მამა
ზუკას ეთამაშებიან



1 წლის ზუკა მამასთან, 1986 წელი



პატარა ზუკას ბედნიერი დედა



1 წლის ზუკა ცაცა ბეზისთან



ბაბუა და შვილიშვილი, 1988 წელი



ზურა ბაბუ და 4 წლის ზუკა



ზუკა და ზურა ბაბუ



1 წლის ზუკა დედასთან, 1986 წელი



3 წლის ზუკა წყნეთის ეზოში



რუსიკო და ზუკა, 1987 წელი



რუსიკო და ზუკა, 1988 წელი



რუსიკო და ზუკა, 1986 წელი



სოჭი, 1984 წელი



რუსიკო მეგობრებთან ერთად,
ვერსალი, 1993 წელი



რუსიკო და ალეკო ამერიკის
შეერთებულ შტატებში, 1990 წელი



რუსიკო და ალეკო,
პეტერგოფი, 1984 წელი

აშშ, დენვერი,
კოლორადოს
შტატი,
1990 წელი



დენვერის
სტომატოლოგიურ
კაბინეტში,
1990 წელი

რუსიკო
და ალეკო
დენვერის
საბავშვო
ბაღში,
1990 წელი





რუსიკო მოსკოვში სამკურნალოდ გამგზავრების წინ,
1994 წლის იანვარი



რუსიკოს უკანასკნელი ფოტო მოსკოვში,
წითელ მოედანზე 1994 წლის 4-14 იანვარი;
8 წლის ზუკა მოსკოვს აზიარა...
27 იანვარს უფალმა თავისთან გაიხმო...




5 წლის რუსიკოს პორტრეტი,
საქართველოს სახალხო მხატვარი ქეთო მაღალაშვილი



პორტრეტი,
გამოჩენილი უკრაინელი
მხატვარი სერგეი ზლენკო,
1979 წ.




პორტრეტი,
მხატვარი ამირან ბახტაძე,
1980 წ.



რუსიკო წყნეთში,
მხატვარი გია რიგვავა


რუსიკოს ბავშვური
შემოქმედება








დრუსკინინკაიში ლიტველ ბავშვთან ერთად. 1982 წ.



რუსიკოს ძმა გია შვილებთან – სოფო და სერჟთან ერთად. 2006 წ.



გიას მეუღლე სიუზან
რიგვა-დიუმა, ვენის
კონსერვატორიის
პროფესორი, შესანიშნავი
დიასახლისი, დედა და
მეუღლე

სერჟი რიგვა – მოდელი, სტუდენტი

სოფო რიგვა – პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტი






14 წლის ზუკა,
IX კლასის მოსწავლე,
1999 წელი




მამა და შვილი საფრანგეთში



ზუკა იპოდრომზე, გერმანია, 1999 წელი




ზუკა ჰოლივუდში,
აშშ, 2005 წელი



ზურაბ ჭილაძე, 2022 წელი



ზურაბ ჭილაძე, 2007 წელი



რუსა და ზუკა



რუსა ზეიმისთვის ემზადება, 2022 წლის თებერვალი



პატარა რუსუდან ჭილაძე



რუსა თოჯინას ასეირნებს



რუსა და ზუკა



პატარა რუსა დედასთან – თინიკო
ქანაშვილთან



რუსა, 2022 წელი



პატარა რუსა ლოცულობს

PS

რუსიკომ უკანასკნელი წლები იშვიათ გარემოში გაატარა.

ოჯახის მეგობრები, ნათესავები, თანამშრომლები, მეზობლები – დიდი ნიჭით დაჯილდოვებული და ნაყოფიერი შრომით გამორჩეული ადამიანები, ჭეშმარიტად ნათელი ეპოქის შემოქმედნი იყვნენ და დღესაც არიან...

ამ რჩეულთა შორის რჩეულმა მამულიშვილებმა წარუშლელი კვალი დატოვეს, ქართულ ისტორიაში, – ქვეყნის პოლიტიკურ, სამეცნიერო თუ კულტურულ ცხოვრებაში...



პროფესორი დევი სტურუა, მისი მეუღლე მაცყალა ილურიძე-სტურუა – თვალსაჩინო პედიატრი, პროფესორი, შვილები გიორგი და სოსო – მომავალი დიპლომატები



საქართველოს სახალხო
მხატვარი რობერტ სტურუა




მისი შვილი, საუკუნის
გამოჩენილი რეჟისორი
რობერტ სტურუა



ბებია ოლია
და რუსიკოს
გამზრდელი ემა
დეკერი. 1968 წ.



ბები ვერა რიგვავა, ბიძაშვილები ლიანა რიგვავა – მომავალი ექიმი, კარდიოლოგი, პროფესორი და ზურიკო რიგვავა – იურისტი. სოხუმი, 1970 წ.



რუსიკოს ბიძა – დეიდას მეუღლე მიშა ლორთქიფანიძე, ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი და აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი – ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი. 1977 წელი.



მეზობელი გივი ჯავახიშვილი და ელენე მეტეხელი – გამოჩენილი
ექიმი რევმატოლოგი, 1978 წ.



ირინა გოგოლაშვილი
– საქართველოს
ენციკლოპედიის
რედაქციის მთავარი
სპეციალისტი.

გია არსენიშვილი – თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის
გამგე, პროფესორი, მოგვიანებით
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
მეუღლე ლენიკო სტურუა – ინგლისური ენის
სპეციალისტი.



პროფესორი თამარ ლლონტი – თბილისის დახელოვნების ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრის გამგე, ქეთო მაღალაშვილი – აღიარებული მხატვარი პორტრეტისტი, ნაირა კახიანი – მიკრობიოლოგი, 1969 წ.



ოჯახის საამაყო მეგობრები: ლილი ტაბატაძე – თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის უცვლელი კაბინეტის გამგე; ნათელა ვასაძე – საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი, აკადემიკოსი; ლეილა სადრაძე – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის პროფესორი, გერმანისტი და ლია მელიცევა – ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკოსი. 1987 წ.



ოჯახის მეგობრები:
ლილიშკა მისხაილოვა
– პედაგოგი და თამარ
ჯეირანაშვილი –
ფილოლოგი, პარტიული
მუშაკი, 1970 წ.



ოჯახის მეგობრები: ბიჭიკო დათეშიძე და ემა ნაცვლიშვილი
– ცნობილი ეკონომისტები; მარინა დათეშიძე – ბიოლოგი
„ინტერკლინიკის“ ლაბორატორიის გამგე და პატარა მარიამი, 1993 წ.



კეთილი და
მზრუნველი
მეზობელი ამალია
პრელკინა – ქირურგი
კოსმეტოლოგი,
სამამულო ომის
მონაწილე, 1969 წ.



პროფესორი ბორის ბერულავა – თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის
კათედრის გამგე და მისი მეუღლე ციალა
ბერულავა –პედაგოგი, შვილები – ზაზა და
დეა



პროფესორი ანზორ ფევზიანიძე, ცნობილი მეცნიერი – სამთოელი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე და მისი
მეუღლე სილვა მიქაძე, ფილოსოფოსი, საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგე. 2007 წელი



ქ-ნი ზინა ერისთავი,
პროფესორი,
ქირურგი-გინეკოლოგი,
ქართული სამედიცინო
სკოლის გამორჩეული
წარმომადგენელი,
პედაგოგი და საზოგადო
მოღვაწე, ადამიანების
უშურველი მოამაგე.



მშვენიერი თვა
ჭკუასელი – ცნობილი
პიანისტი და
პედაგოგი;



ქ-ნი ციალა ჭილაძე – მედიცინის
დამსახურებული მოღვაწე,
ექიმი ფსიქიატრი;
ლიკა ჭანტურია – გეოგრაფი, ეკონომისტი;
ქ-ნი ფისო ჭილაძე – სიკეთითა და
სათნოებით გამორჩეული, დამსახურებული
ექიმი, საქართველოს ღვანლმოსილი
ფსიქიატრი და ნარკოლოგი. 2017 წელი.



ფაქიზი ზნეობითა და
სამაგალითო მეგობრული
ურთიერთობით
გამორჩეული
დევი ჩხეიძე,
ინჟინერ გეოლოგი,
პროფესორი, საქართველოს
პოლიტექნიკური
ინსტიტუტის პრორექტორი
და მისი მეუღლე მზია
იაშვილი, არქეოლოგი,
ისტორიულ მეცნიერებათა
კანდიდატი



რუსიკო მშობლებთან, გიასთან და მის მეუღლე
ქეთი ალექსი-მესხიშვილთან, მეზობლებთან – ლალი ჯავახიშვილთან
და იკო ყურაშვილთან ერთად. 1982 წ.



ირაკლი, ლელა და გივი ყურაშვილები – მეზობლები და
ბავშვობის მეგობრები

საუკუნის გამოჩენილი ფიზიკოსი,
აკადემიკოსი ლევ ლანდაუ, ამბობდა:
„ბედნიერება არის შრომა,
სიყვარული და ურთიერთობა...“
რუსიკოს ცხოვრებაც ამის დასტურია...

სარჩევი

| | |
|---|----|
| წინათქმა | 5 |
| სახელოვანი მასწავლებლების თანაგრძნობა | 6 |
| მზის ასულად დარჩა მარად | 8 |
| მარადიული ხსოვნა | 14 |
| სიკეთის და სათნოების ძალა | 16 |
| წერილი დენვერიდან | 26 |
| ხსოვნის უკვდავება | 32 |
| წარსულის გახსენება | 34 |
| რუსიკოს მეგობრები | 36 |
| ისტორიული რელიკვია | 37 |
| უკვდავებაში გადასული | 38 |
| სინანულის ბალადა | 42 |
| ზეცად ამალღება | 44 |
| მტკივნეული „გამოხმობა“ | 47 |
| ნათელი სახელის არდავინწყება | 50 |
| მილოცვა | 52 |
| მეგობრობის მადლი | 53 |
| ალეკოს მშობლები | 57 |
| ... სიცოცხლე გრძელდება! | 60 |
| მცირე ფოტომატიანე | 61 |
| PS | 92 |



მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
რუსუდან სერგოს ასული რიგვეა დაიბადა
1964 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში.

1980 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე სა-
შუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს კი – მოს-
კოვის ნ. ა. სემაშკოს სახ. სამედიცინო სტომა-
ტოლოგიური ინსტიტუტი.

შემდეგ იყო ორდინატურა და ასპირანტუ-
რა სსრკ-ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნე-
ბის სახელმწიფო ინსტიტუტში და ხანმოკლე მეცნიერული, საექიმო
მოღვაწეობა და პედაგოგიური მუშაობა ამავე ინსტიტუტში.

არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

გარდაიცვალა 1994 წლის 27 იანვარს მოსკოვში.

ISBN 978-9941-501-15-9



9 789941 501159